

ახალი

# განთიადი

,,ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,



,,განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ,,

2023 წელი 29 ნოემბერი №11 (8198) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com




## რა დრო გასულა ...

გვ4.

## ,,ყასპონის,, გამოძახილი

გვ3, 7.

## პროგრამა ,,საფეხბურთო ყურადღება რეგიონებში,,

გვ2.

## ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობისთვის

გვ2.

## სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით

გვ2.



## ძველ-ახალი დროების მარულაში

გვ3.







## მშვენიერი მელანოსათვის

გვ7.

## ცამეტი წლის ყმაწვილკაცი ... მოქარგვის თითებით

გვ6.

## პურის სახლი ,,თანგარი,,

გვ3.

## სოფელ სასირეთში

გვ2.

## სასკოლო ოლიმპიადის პროგრამით

გვ6.

## ამაგდარ მწვრთნელს შეჯიბრება აჩუქეს

გვ6.



## ,,დინამო თბილისის,, აკადემიის პროგრამის ფარგლებში

გვ2.



## საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სოფელ ოკამში 296 მეტრი სიგრძის გზის ბეტონის საფარის დაგება დასრულდა.

სამუშაოს დასრულების პროცესს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე მერის მოადგილესთან დავით ქისიშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან ერთად გაეცნო.

აღნიშნული გზის რეაბილიტაცია, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელდა.

სამუშაო ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ბესკო"-მ ჩაატარა.

იწყება ახალი ხელმოწერა. გახდით ჩვენი მკითხველი. გამოიწერეთ "ახალი განთიადი"!

,,ახალი განთიადი,, ეძებს საინტერესო მასალას რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. მოგმართავთ თხოვნით - დატოვეთ თქვენი კვალი მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო ფოტოები!



## კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გრძელდება

კასპის მუნიციპალიტეტში ზემო ხანდაკი - ხოვლეს ადგილობრივი მნიშვნელობის გზიდან სოფელ კალოუბანთან მისასვლელი გზის მონაკვეთზე ასფალტის დაგების სამუშაოები დასრულდა.

აღნიშნულ სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ილია ქამხაძე ადგილზე გაეცნენ.

სოფლის ბოლომდე მისასვლელ 1 500 გრძივ მეტრ გზაზე, რომელზეც აქამდე ასფალტი არასდროს ყოფილა, ასფალტის ორფენიანი საფარი მოსახლეობას კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფს.

კასპში, ვარჯაანის დასახლებაში ქართლის და თბილისის ქუჩებზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. ამჟამად ორივე ქუჩაზე შპს "დინ-გრუპი" გზის მოსწორება - მოშანდაკების და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოს აწარმოებს.

ქუჩების რეაბილიტაციას მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან აჩიკო გიგოლაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან ერთად გაეცნო.

პროექტის ფარგლებში, გარდა ქართლის და თბილისის ქუჩებისა, დაგეგმილია აჭარის, კახეთის და ბარათაშვილის ქუჩების მოასფალტების სამუშაოები.

პროექტი გარდამავალია და 810 005 ლარის ფარგლებში რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

კასპის მუნიციპალიტეტის სამთავისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თოგოიანის მისასვლელ გზაზე ასფალტის დაგების სამუშაოებს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი აჩიკო გიგოლაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი გაეცნენ.

პროექტი, რომელიც 1 075 გრძივი მეტრი გზის მოწყობას ითვალისწინებს, რეგიონის განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომელსაც შპს "ჩაგელა" ასრულებს.

სოფლის მისასვლელი გზა ასფალტირებული არასოდეს ყოფილა, დაგებული ორფენიანი ასფალტი კი მოსახლეობის კომფორტულ გადაადგილებას შეუწყობს ხელს.



## ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობისთვის

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერის პირველ მოადგილესთან დავით ქისიშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან ერთად კასპში, რუსთაველისა და ლესელიძის ქუჩების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამით მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო. კასპის მუნიციპალიტეტის მერია 7 წელია მრავალსართულიანი ბინების ინფრასტრუქტურულ საჭიროებებზე 12 სახის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აფინანსებს. სამუშაოებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანიების დახმარებით ახორციელებენ.



პროექტის ფარგლებში ფინანსდება: შიდა სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემის გაყვანილობა, შენობის ფასადებისა და სახურავების შეკეთება, სადარბაზოების შესასვლელში პანდუსების მონტაჟი, სადარბაზოების კარების დამზადება და მონტაჟი, მრავალბინიანი შენობის კაპიტალური გამაგრება და სხვა.

მიმდინარე წელს აღნიშნული პროგრამისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 150 000 ლარის დაფინანსება გამოიყო, თუმცა საჭიროებიდან გამომდინარე, მერიამ აღნიშნული თანხა დამატებით 50 000 ლარით გაზარდა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიზანია მოსახლეობის ჩართულობით, ხელი შეუწყოს მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. ჩამოყალიბონ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები.

## სოფელ სასირეთში



სოფელ სასირეთში ბეტონზე ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა დაწყებულია. სპორტული მოედნის სამუშაოებს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან ერთად ადგილზე გაეცნო. სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და შპს "დანიქონთრაქშენი" ახორციელებს. თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი მოედანი ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და დროის მიზნობრივ გამოყენებას.

## პროგრამა „საფეხბურთო ყურადღება რეგიონებს„



მიმდინარე წელს კასპში, "დინამო თბილისის" აკადემიის მიერ პროგრამის - "საფეხბურთო ყურადღება რეგიონებში" ფარგლებში ერთი სავარჯიშო ჯგუფი გაიხსნა.

ჯგუფი, რომელსაც მწვრთნელები შავლეგ მაჭარაშვილი და ნიკა ლეკვეიშვილი ავარჯიშებენ, აკადემიის მიერ ჩატარებული საშემოდგომო ფესტივალის გამარჯვებული გახდა.

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი კასპის "დინამოს" ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს ფეხბურთის მოედანზე შეხვდნენ და გამარჯვება მიულოცეს.

ფესტივალი 2011-2012 წლებში დაბადებულთა შორის გაიმართა. გუნდის შედეგებმა ცხადყო, რომ გუნდი იზრდება და ვითარდება სწორად, რაც მწვრთნელების დიდი დამსახურებაა.

მწვრთნელებმა ვახტანგ მაისურაძესა და შოთა ბეგლარაშვილს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს.

## სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით

კასპის მუნიციპალიტეტში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ქალაქში, რუსთაველის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა დაიწყო, რომლის პირველი ეტაპის სამუშაოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე, მერის პირველ მოადგილესთან დავით ქისიშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან ერთად გაეცნო.

პროექტი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მას შპს "დანიქონსთრაქშენი" ახორციელებს.

კასპის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს 9 ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობაა დაგეგმილი, მათგან ნაწილი დასრულებულია, ნაწილის მშენებლობა კი მიმდინარეობს.



დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ჩვენი წერილი იმ ხელობის კაცზეა, ქართული ერთი ანდაზის მიხედვით, ვინც პურს არცა თესავს, არცა მკის და არცა ლეწავს, სხვისა პურსა ბევრსა აცხობს, იმასა ჭამს და სხვასაც აჭმევსო.

აბა, ასეთი ვინ იყო და ვინ არის? — ხაბაზი! რაღა თქმა უნდა, სწორედაც ხაბაზი, ანუ, მეპურე, ვინც პური უნდა გამოაცხოს!

სოფელ კავთისხევში მცხოვრები ხაბაზი ვასილ კერესელიძე წლევანდელ ოქტომბერში, “კასპობის” დღესასწაულზე გამოსულიყო საკუთარი მარჯვენით გამომცხვარი პურფუნთუშეულით. ნებისმიერ კასპელსა და სტუმარს, საქალაქო ზეიმის მონაწილე დიდ-პატარას შეეძლო დაგემოვნება და შეძენა “წითელი დოლის” ხორბლით გამომცხვარი მრგვალი “ბატონისა”, მჭადპურისა, ე. წ. “თეთრი”, “რუხი” და “შავი” პურისა, ანდა, რამდენიმე სახეობის საკონდიტრო ნაწარმისა.

მშობლიური სოფლის ცენტრში მან პურსაცხობ-მაღაზიის შენობა სულ რამდენიმე წლის წინ გახსნა. რა დაურქმევია მისთვის, სახელს არ იკითხავთ? — თანგარი!

ჯერაც ოდინდელი საქართველო რომ მიწათმოქმედებითა და მარცვლეულობით განთქმულა, ცნობილი ამბავია, ხორბლის ჯიშების ბეღლადაც სახელდებულა. ზოგიერთი ხორბალი ძირითადი და წამყვანი კულტურა ხომ იყო და, გარდა უპირველესი საკვები საშუალებისა, სამკურნალო დანიშნულებითაც გამოიყენებოდა. მაგალითად, ცნობილია ხორბლის სახამებლები — “ზავრუკი” და “ნიშო”. მათში კი პირველია “თანგარი”. ანუ, ესაა სახელწოდება ძველქართული ხორბლის ჯიშისა!

დღევანდელ საკავთისხეოში ორმოცდაათი წლის ვასილ კერესელიძესა და მის “თანგარს” სახელი დაუგდია. ამ მადლცხებულ მცხობელს არა მარტო თუნდაც ერთი ხორბლის ჯიშის სახელი გამოუტაცებია დავიწყებისათვის. იგი უნდა მივიჩნიოთ აქაური ხაბაზების საქმიანობის, ტრადიციული თუ საგვარეულო ხელობის, პროფესიული გამოცდილების დამცველადაცა და გამგრძელებლადაც. საქმე ისაა, რომ ვასილი თავისივე სოფელში მოქმედი პურსაცხობის თონისპირზე აკურთხეს ახალბედა მეპურედ. ეს კი მოხდა გასული საუკუნის მიწურულში, 1996 წელს.

... კავთურისხეობელი ძველი ხაბაზების სული ხომ არ ვაცხონოთ? მოდი, გავიხსენოთ მათი ვინაობა, ვინც ათწლეულობით მეთონეობდნენ:

კოლა ბერბიჭაშვილი, გაბრიელ წიკლაური დივა ბასიაშვილი, ომარ ძამუკაშვილი, გიორგი კერესელიძე (ვასილის ბიძა, ანუ, მამის ძმა)...



კავთისხეველი რკინიგზელი ნიკოლოზ ნოქარაშვილი, ვასილის თანატოლი და თანასოფლელი, ასეთ ამბავს იხსენებს:

— ჩვენი სკოლიდან პურსაცხობი ორასი-სამასი მეტრით იყო მოშორებული. იქ პური როცა ცხვებოდა, ბრაწის სუნი ღია ფანჯრებში შემოჰქონდა ნიავს და პატარებს პირდაპირ ცხვირში გვიძვრებოდა. ბოლო გაკვეთილის ზარის დარეკვამდე მოთმენა არ გინდოდა? უფრო მეტად და რაღაც უცნაურად გვშივდებოდა! ნანატრი ზარი ჩამორეკავდა თუ არა, მერხებს გადავაფრინდებოდით და კავთურას ეგრევე გავტოპავდით ხოლმე... ერთ მანეთში პურნახევარი მოგვდიოდა, დავიჭერდით ორივე ხელით მკერდთან, გოგოებსაც მოვუტეხავდით და მიგვქონდა ორლობეები ჩვენ-ჩვენი წილი ტკბილზე გემრიელი პურით... აი, ახლა, როცა ვასილის საცხობში შემოვდივარ, თითქოს იმ ბედნიერ ბავშვობაშიც ვბრუნდები და მაშინდელი გემო-სურნელიც მიბრუნდება კავთისხევური პურისა. ჰოდა, ეს ჩემი მეგობარი ვასიკო კარგი კავთისხეველი იმიტომაც არის, რომ სოფელში ძველი გემო დააბრუნა. თანაც, მარტო აქაურებისათვის ხომ არა, ჩვენს კავთისხევს სტუმარი არასოდეს დაკლებია.






დიახ, ასეა, ჩვენო კერესელიძეებო და ნოქარაშვილებო (ისევ ანდაზისებურად): პური და გული სტუმარსა, წავა და შინ მოაგონდებაო!

ჰოდა, ამ მოგონებაზე: ვასილ კერესელიძე არა მარტო სოფელში ძველი გემოს დამბრუნებელი კარგი კავთისხეველია, არამედ თვითონ გახლავთ სოფელში დაბრუნებული კაცი, ვისაც ამ საუკუნის ოცწლეული პირენეის ნახევარკუნძულზე ჩაუთავებია და თავზე პორტუგალიური ცა ხურებია.

ასეა, ჯეილობაში დაუფლებულ ხელობას უფრო რუდუნებითა და გულდაჯერებით დაგურგურებს, რადგანაც ხარაზობა არასოდეს ფიქრადაც არ გაუტარებია გულში, ხაბაზობას როდი იბრალებს. ამიტომაც კუტი პური არასოდეს გამოსვლია, არც აქ — მამულ-დედულში და არც იქ — უცხოეთში.

მილეთის ქვეყნები მოიარა, ევროპა გადასერა ცხრა-ცხრა ზღვითა და მთით და კონტინენტის ყველაზე განაპირა ქვეყანაში, პორტუგალიაში, სხვა კი არაფერი უკეთებია, თითქმის ოცი წლის განმავლობაში უცხვია “პური ჩვენი არსობისა”. პურის მადლი არც იქ გასწყრომია. იცის მარჩენალი ხელობის ყადრი და ერთ საღმრთო ანდრეზს აქეთ შეგვახსენებს: — სადაც პური ცხვება, იქ ღვთის მადლი ტრიალებსო!

იქ, ოკეანისპირა პორტუგალიაში, ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე მოხვდა და ლისაბონის მახლობლად, პატარა ვილა პენალვაში, ხაბაზობდა იქაური მეპატრონის პურის ქარხანაში. თურმე იქაურებსაც მოსდგამთ, ქართველების მსგავსად, პურისა და ღვინის მადლიანობა. ეროვნული ღირსების სარჩულში ორივე ამოუკრავთ. მათდამი ტრადიციული დამოკიდებულების სიწმინდეს იცავენ და თაობებს გადაულოცავენ.

... პირენეელი მეპურეებისა და მათი პირისგემომცოდნეობისა რა

გაგრძელება გვ-8.

# ძველ-ახალი დროების მარულაში

“კახი ონეზაშვილის ოჯახური გამოფენა” — ასეთი მოკლე, პრეტენზიულობას მოკლებული, წარწერა მაინც იზიდავდა მავანის მზერას იქ, სადაც უამრავი თვალსასეირო სანახაობით არის ხოლმე გაჯერებული “კასპობის” ტრადიციული, ყოველწლიური, დღესასწაულების კულტურულ-გასართობი პროგრამა. ჩვენც შევყოვნდით, გამოვესაუბრეთ, ვინაობა და სადაურობა მოვინიშნეთ და დავპირდით, მათ ოჯახურ სივრცით გარემოს ადგილზე გავეცნობოდით, რათა მათი საინტერესო ოჯახური გამოფენის თაობაზე სხვებისთვისაც მოგვეთხრო.

... სოფელ სასირეთში გასული საუკუნის 60–70-ან წლებში, აბა, რომელ ოჯახს არ ეთქმოდა გამრჯე და შრომისმოყვარე, მაგრამ როცა იტყოდნენ, — თითით საჩვენებელიიო, ასეთად უთუოდ მოისაზრებდნენ სარგის ონეზაშვილისა და მარიამ აბუაშვილის ოჯახურ წყვილს. ქალი შინ შვილებს ზრდიდა და, პარალელურად, საკოლმეურნეო შრომადღეების ნორმებს მუდამ აჭარბებდა, სოფლის თავმჯდომარეს საკარმიდამო ფართი გამოუყვია და საჩუქრად გადაუცია. “იასამნისუბანი” — ასე ჰქვია იმ დასახლებას, სადაც სასირეთში ახლა ონეზაშვილების სახლი დგას და მათ გარდა, ასევე, სახლობენ ბეჟიტაშვილები, მამულაშვილები, ჭალიაშვილები, ლევანიძეები...

ოჯახის უფროსი სარგის ონეზაშვილი ხის დამუშავების ოსტატი და მესაიდუმლე გახლდათ: მეავეჯეობდა, დურგლობდა, ბონდერობდა. სამეზობლოსა და სანათესაოში მისეული ხელნაკეთობანი დღემდეა, რამდენს სახლი გადაუხურა და ჭერი გაუწყო. ერთხანობას დოესში ხელოსნობდა და იქაური მეგობარი ნათლიად გაიხადა, ვაჟიშვილი კახი მოანათვლინა. ვერავინ დაითვლიდა სარგისისეულ აკვნებსა და შიბაქებს. ზემო ხანდაკის




ღვინის ქარხანაში მარჯვენა-მარცხენას უქებდნენ ნაცად ბონდერს.

სხვადასხვა ტევადობის ხის კასრებს იმდაგვარად დასალტავდა, ზადს ვერ მოუნახავდა მჩხრეკელი კაცის თვალი. დრო როცა ეპოვა, თავისი მარნისთვისაც გაუკეთებია. რად გინდა, ერთ წელს ერთი მეზობელი მისდგომია, — მათხოვე, ღვინო იმდენი მომივიდა, რაში ჩავასხა, აღარ ვიციო; მეორე წელს — მეორე და იმასაც ყელის ძვლის ძგიდის გამოწვევით შეუცოდებია თავი, — შენ თუ მიშველი, სხვისკენ გზა არა მაქვსო... მერე უთხოვებია მესამისთვისაც, კიდევ სხვისათვის, და როცა საკუთრივ დასჭირვებია, აღარ დაუბრუნებიათ, — ღვინოს თუ გადავაქცევთ და ისე წაიღებ, გვაცალე გაისამდეო...

ჰოდა, გაბრაზებულა სარგისი ცალკერძა მეზობლების საქციელის შემყურე და მათ ჯიბრზე 1.000-ლიტრიანი ტევადობის კასრი თავის მარანში “ნოეს კიდობანივით” წამოუჭიმავს, — ბიჭები ხართ და ახლაც გაიტანეთო!

... ბატონი კახი ამ ისტორიას ღიმილნარევი მხიარულობითა და იუმორით იხსენებს. იმასაც დასძენს, რომ მამისეული “ტონიანი” კასრი ახლაც ვარგისია და მასში ღვინოსაც აძველებენ და ავარგებენ... მერე იმ სამუშაო იარაღებსაც სიამაყით მიჩვენებს, მამის ხელშენავლები რომაა და ღირსეული პატრონის ხელში სხივილი გაუდიოდა — “ჰო თანაც მიმარჯვებს ხისავე სხვა ნაკეთობებს — ყელყარყარა დოქებსა და ხუთ და სამლიტრიან კასრებს, რომელთა მასალა საგანგებოდაა მოჩუქურთმებული.

დაახლოებით ექვსი წელია, რაც კახი ონეზაშვილი თბილისიდან ისევ სოფელში დაბრუნდა. ყოფილი მშენებელია. უშენებია კასპშიც — მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკა, წალკაშიც — საცხოვრებელი სახლები, თავისივე სოფლის ბოლოშიც — ლტოლვილთა დასახლების ბინები.

*გაგრძელება გვ7.*

# რა დრო გასულა...

ქართული პერიოდული პრესის დიდი ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს, კასპის რაიონულ გაზეთ "ახალ განთიადს" ("განთიადს") დაარსებიდან 92 წელი შეუსრულდა.

ამ უკიდეგანო სამყაროში, 9 ათეულ წელზე მეტი სიცოცხლე, არც ცოტაა და არც ბევრი, მით უფრო, პატარა გაზეთისთვის, რომლის მიზანი და დანიშნულება მეტად კეთილშობილურია.

1931 წლის ნოემბერში, კასპის რაიკომის თავკაცების თხოვნით, თბილისში, გაზეთ "მუშის" რედაქციის თანამშრომელთა დახმარებით, მომზადდა და გაზეთ "კომუნისტის" სტამბაში დასაბეჭდად გაიგზავნა ოთხგვერდიანი გაზეთის მაკეტი, სადაც, საბეჭდი დაზგიდან, 7 ნოემბრის დილას გადმოვიდა "კომუნიზმისაკენის" სახელწოდებით.

და ეს ცინცხალი, საღებავშეუმშრალი გაზეთი, იმავე დილით ჩამოიტანეს კასპში და საშვიდნოემბრო ზეიმზე შეკრებილ საზოგადოებას დაურიგეს. ვიდრე გონს მოვიდოდნენ, სახტად დარჩენილი, სოფლებიდან ქვეითად ჩამოსული გლეხები და ახალდაარსებული ცემენტის ქარხნის მშრომელები, სცენაზე ავიდა რაიკომის მდივანი სალარიძე და გამოაცხადა: "თქვენ ახლა დაგირიგდათ გაზეთის პირველი ნომერი, რომელიც "კომუნისტის" სტამბაში დაიბეჭდა. ამიერიდან, ჩვენი რაიონული გაზეთი, თითოეული ოჯახის სასურველი სტუმარი უნდა გახდეს. ვიზრუნებთ, რომ სტამბაც კასპში მოვაწყოთ და რედაქციაც, გამოვა 10 დღეში ერთხელ, "პრავდის" ნახევარი ფორმატის, ოთხგვერდიანი, 3000 ტირაჟით, შერჩეულია სარედაქციო კოლეგია და პასუხისმგებელ მდივნად გავგზავნეთ დიასამიძე, დანარჩენი თქვენზეა, იმედია, ყველა ოჯახში დაიმკვიდრებს ადგილს და მოსწავლე-ახალგაზრდობის საყვარელი გაზეთიც გახდება."

დარბაზი ოვაციით შეხვდა გაზეთის წარდგენას.

მალე გაზეთი პოპულარული გახდა, შეირჩა ჟურნალისტების კადრი, მოაწყეს სტამბა, ყველა მხარში ამოუდგა, განსაკუთრებით კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორი ალექსანდრე ქებაძე.

პირველი მაისის ქუჩაზე მდებარე სასტუმროს შენობაში რედაქციას გამოუყვეს ოთახები, ამავე ქუჩაზე ააგეს შენობა სტამბისთვის და დაამონტაჟეს დანადგარები.



მრავლდებოდნენ ხელმომწერეები, იცვლებოდა პერიოდულობა, ფორმატი, უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა და რაც მთავარია, რედაქტორებიც გამორჩეული დაებედა, კვალიფიციური კადრის ნაკლებობას აღარ განიცდიდა სტამბა, დახელოვნდნენ ასოთამწყობები, დამკაბადონებლები, მბეჭდავები, ლინოტიპისტები.

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა, გაზეთში შუქდებოდა ყველა მოვლენა, რაც კი კასპის რაიონში ხდებოდა, აქ წაიკითხავდით წერილებს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, სოფლის მშრომელთა ცხოვრებაზე... განსაკუთრებით დიდი იყო გაზეთის როლი და მნიშვნელობა მეორე მსოფლიო ომის წლებში, იმ დროს, როცა არც რადიო იყო და არც ტელევიზია, გაზეთი იყო ერთადერთი საშუალება, გაეგოთ ამბები საბრძოლო ადგილებიდან, უხვად იბეჭდებოდა წერილები კავკასიის გმირ დამცველებზე და სხვებზე. ამ პატარა გაზეთის ბევრი რედაქტორი წავიდა ომის გზაზე და ვეღარ დაბრუნდა, სანაცვლოდ მოდიოდნენ ომგადახდილი, ერუდირებული რედაქტორები, ლეგენდები დადიოდა შალვა შაველაშვილზე, ვახტანგ ელისაბედაშვილზე, გიორგი მალაციძეზე, ალექსანდრე ბეჟანიშვილზე და სხვებზე, სწორედ ამ დიდებული პიროვნების, ალექსანდრე ბეჟანიშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში დაუდგა შავი დღე გაზეთს, 1962 წელს მოხდა რაიონების რეორგანიზაცია და გაზეთმა არსებობა შეწყვიტა, ბეჟანიშვილი განათლების განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, მისი მოადგილე, გიორგი მალაციძე გორის რაიონული გაზეთის რედაქციაში წაიყვანეს, პასუხისმგებელი მდივანი, მწერალი გიორგი ხორგუაშვილი კასპის მუზეუმის დირექტორად დანიშნეს, დაიფანტნენ სხვებიც, კოტე ამაშუკელი თბილისში წავიდა, ზოგმა სკოლებს მიაშურა მასწავლებლებად და როცა 1965 წლის დეკემბერში, გაზეთი ისევ აღადგინეს, კადრი საძებნელი გაუხდათ, თუმცა, არ გასჭირვებიათ, რედაქტორი თბილისიდან გამოგზავნეს, ცნობილი მწერალი, დრამატურგი, ჟურნალისტი და იუმორისტი, რამდენიმე წიგნის ავტორი, გურამ კლდიაშვილი, რომელმაც რაიკომის მუშაკებთან ერთად, მალე დააკომპლექტა რედაქცია. სტამბის მუშაკებიც გამოიძახეს და 1966 წლის პირველ იანვარს, რაიონს განახლებული გაზეთით მიულოცეს ახალი წელი...



გაზეთის კოლექტივის წევრი 1966 წლის 20 თებერვალს გავხდი, როცა რაიკომმა ხოვლის საშუალო სკოლიდან გადმომიყვანა, სადაც დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი, საწარმოო სწავლების დარგში.

დაიწყო საინტერესო წლები რედაქციის ცხოვრებაში, გურამ კლდიაშვილმა „რკინის ქალამნები" ჩაიცვა და მანამდე იარა, სადაც ჯერ არს, ვიდრე, ოდიოზური სახელწოდება "კომუნიზმისაკენ" არ მოაშორეს გაზეთს. ეს მაშინ, 1967 წელს, გმირობის ტოლფასი იყო, ჩვენ კი გავხდით "განთიადელები" და ასე ვიარეთ, ვიდრე სხვა გრიგალები არ შემოგვხვდა გზაზე. იყო ჩვენს ცხოვრებაში წარმატებები, ნაკლოვანებები, კონკურსებში გამარჯვებები, ბიჭვინთის ჟურნალისტთა შეხვედრები, აღმართები და დაღმართები, ჩრდილებიც არ გვაკლდა და ხშირად, "მზესაც გვიჩრდილავდნენ" მავანი ავყიები, მაგრამ აქ დავსვამ მრავალწერტილს, მკითხველო, ამ საიუბილეო მილოცვაში, მათი ადგილი არ არის!

გაზეთი იმთავითვე მემატიანედ იქცა, ყველა საწარმოში თუ სოფელში მივდიოდით, ცნობილ ადამიანებს ვხვდებოდით, მათზე ვწერდით, შემოქმედებით გასვლებს და ექსკურსიებს ვაწყობდით, ტალანტებს ვეძებდით, გზას ვულოცავდით დამწყებ პოეტებს, მწერლებს, ჟურნალისტებს... ასე გავიდნენ ცხოვრების დიდ გზაზე კასპის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლეები, დღეს უკვე ცნობილი ქართველი პოეტები, მანანა ჩიტიშვილი და ვაჟა ოთარაშვილი, აქ მოდიოდა კასპის პირველი საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლე, ნანა მერებაშვილი და რედაქციის "დედა ტერეზას", ზინაიდა ქისტიშვილს ეხმარებოდა კორექტურაში, მერე, სტუდენტობის წლებში, ჩვენი ავტორიც გახდა და დღეს, როგორც რედაქტორი, რუდუნებით ქმნის "ახალ განთიადს"...

სამწუხაროდ, უმძიმესი აღმოჩნდა 90-იანი წლების შემდგომი პერიოდი პრესისთვის (და არა მარტო) ბევრი რაიონული გაზეთი გააუქმეს... კასპში, გამგეობამ ხელი კი შეუწყო, სიცოცხლე გაუხანგრძლივა, აწ უკვე სახელგამოცვლილ გაზეთს, მაგრამ, შეამცირეს, აღარც შენობა - წერეთლის ქუჩაზე, აღარც სტამბა - თავისი ძვირადღირებული დანადგარებით... მისცეს რამდენიმე ოთახი საკრებულოს შენობაში და კომპიუტერი გახდა მათთვის ყველაფერი... და მაინც, გაზეთი იბეჭდება თვეში ერთხელ, ხელმომწერზე დამოკიდებული ტირაჟით, ლამაზი დიზაინით, მაღალი ხარისხის ქაღალდზე, ფერადი გაფორმებით და მკითხველთან მიდის, როგორც ჩვენი ცხოვრების მემატიანე, კატაკლიზმებით უხვად დატვირთულ, ამ ცოდვა-მადლიან წუთისოფელში.



მინდა, მადლიერებით მოვიხსენიო გაზეთის ღვაწლმოსილი მუშაკები: ვახტანგ ელისაბედაშვილი, ალექსანდრე ბეჟანიშვილი, თვალსაჩინო ქართველი მწერალი და დრამატურგი, გურამ კლდიაშვილი, ჩინებული ლიტერატორი თამაზ შეშაბერიძე, მწერალი გიორგი ხორგუაშვილი, ამაგდარი "განთიადელები", ჩვენი ირაკლი სოზიაშვილი, "დედა ტერეზად" წოდებული ზინაიდა ქისტიშვილი, პასუხისმგებელი მდივანი ლევან ელისაბედაშვილი, ნაადრევად წასული, ჩვენი საყვარელი დალი მელაძე, მუდამ დაუდგრომელი რუსუდან ხეჩუაშვილი, სტამბელები გიორგი ნიჟარაძე, ჟუჟუნა საჩალელი, მარო ტურაშვილი, ახლახანს წასული ლინოტიპისტი შოთა რევაზიშვილი. დიდ პატივს მივაგებთ მათ ნათელ ხსოვნას...

იუბილეს ვულოცავთ ჩვენს ყოფილ რედაქტორს, მწერალს, პოეტს და ჟურნალისტს თემურ ჟღენტს, კოლეგებს ვალიდა უზნაძეს, ვენერა ამირეზაშვილს, ლევან წითურაულს, მედიკო მზარეულაშვილს, მარინა აღაპიშვილს ...

ათასგზის მადლობა და მილოცვა დღევანდელი "ახალი განთიადის" რედაქტორს, ნანა მერებაშვილს, თანამშრომლებს: ამირან ტალახაძეს, მარინა როსებაშვილს.

გაზეთის ფურცლებზე ინახება ჩვენი ცხოვრების ავკარგი. დღეგრძელობა ვუსურვოთ ჩვენს "ახალ განთიადს."

გაზეთი 92 წლისაა...

გილოცავთ!

**ნორა ედიშერაშვილი,**
**გაზეთ "განთიადის" რედაქტორის ყოფილი მოადგილე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, ნანა დავარ-შაბათაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი პოეზიის დარგში (ისრაელი).**

# ყველაზე ხანდაზმული ხელმომწერი

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხში მცხოვრები, 92 წლის მერაბ ბოჭორაძე გახლავთ ქართველკაცობის საზომი, ეტალონი.

ისაა მამულისა და ქართული სულიერების გულანთებული და შიგანმხურვალე პატრიოტი, ასევე, ქართული სამხედრო-საოფიცრო სკოლის ღირსეული ვეტერანი (1956 წელს უფროსი ლეიტენანტის ჩინით დემობილიზებული იქნა გენერალ ვლადიმერ ხუბულურის სამეთაურო ქართული დივიზიის რიგებიდან, მისი რეპრესიული დაშლის გამო).

სახალხო განათლების მაღალკვალიფიციური ძველი თაობის წარმომადგენელია: ქ. თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ათწლეულობით პედაგოგობდა და დირექტორობდა კასპის სკოლა-ინტერნატსა და სოფელ ქვემო გომის საშუალო სკოლაში.

საქვეყნო და სახალხო-სამეურნეო სხვადასხვა სფეროს მრავალწლიან არჩევით თანამდებობაზე უშურველად გარჯილი სპეციალისტია — 19 წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდა: ქვემო გომში — სასოფლო საბჭოს, ქარხანა “კასპიელექტროაპარატში” — პროფკავშირის კომიტეტს.

გახლავთ ქართული სპორტის თავგამოდებული გულშემატკივარი და მისი ისტორიის მცოდნე. ჭადრაკის დიდი ტრფიალია, მონაწილეობს ვეტერანთა ადგილობრივ ტურნირებში და პირველობებზე, საჭადრაკო პარტიების სისტემატური მჩხრეკელია ინტერნეტ-სივრცეში.

მწიგნობარი და განსწავლული კაცია საერთო-ზოგადი ნიშნით, ხოლო კონკრეტული დახასიათებისათვის ასეთ შტრიხს გამოვყოფ: სასპორტო გაზეთ “ლელოსა” და ქართული ნაბეჭდი პერიოდიკის სისტემატური მკითხველია, მათ შესაძენად სოფელ მეტეხიდან ახლო ხანების წინ ხშირ-ხშირად გამოდიოდა კასპში, ნაცად მეგობართან, კუკური მიქიაშვილთან ერთად. მერე ის მხრიდან გამოეცალა და კითხვას როდი შეეშვა, ახლა შვილები ამარაგებენ ახალი პრესით... 2022 წლის დეკემბერში საკუთარი ფეხით მობრძანდა “განთიადის” რედაქციაში და გამოწერა ითხოვა, წელი გავიდა და კმაყოფილია, — ავადობის გამო მთელი წელი თბილისში გავატარე, მაგრამ თქვენს გაზეთს ვკითხულობდი და თითქოს ისევ მეტეხში ვიყავი, მუნიციპალიტეტში მომხდარი ყველა სიახლის კურსში ვიყავი, ჩვენი ხალხის ცხოვრების მაჯისცემის პულსზე ხელი მედოო!

თქვენი მეტეხურ-უტეხელი შემართებისა კვლავაც გვესმოდეს, სახვალიო შეხვედრებისას ერთმანეთს ისევ შევუძახოთ უფროს-უმცროსი მეგობრების კვალობაზე!

მრავალჟამიერ, თქვენდა!

# უანგაროდ

ჩვენმა გაზეთმა, ბეჭდური გამოცემის კვალობაზე, თანმიმდევრულად გამოიარა რთული პერიოდები: საწყისი ეტაპი ხელით წყობასა და დაკაბადონებას მოითხოვდა და ოპერატიულობის თვალსაზრისით დიდად მოიკოჭლებდა. ის მოგვიანებით ლინოტიპური წყობის მეთოდმა ჩაანაცვლა, მაგრამ ყავლი მასაც გაუვიდა.

ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობა უფრო პროგრესულ და თანამედროვე გზას დაადგა — კომპიუტერიზაციამ მოიცვა თავისი ამოუწურავი შესაძლებლობებით.

ახალი გამოწვევის ტალღა ჩვენს ქალაქში ლეხურამ არა და დრომ მოიტანა. სწორედ მაშინ გამოჩნდა ის — მამუკა გიგილაშვილი:

თავის დროზე კასპში ფოსტისა და კავშირგაბმულობის დარგის კვალიფიციური ინჟინერი და გამოცდილი სპეციალისტი. დროების შესაფერისად მომხდარ ტექნიკურ ცვლილებას ერთ-ერთმა პირველმა აუღო ალღო, აუბა მხარი და იოლად გადაკვალიფიცირდა კომპიუტერული მიმართულებით.

მას შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა. ის რედაქციისა და გაზეთის ახლო მეგობარია. მისი თვალსაწიერი სწვდება გაზეთის სასტამბოდ გადასაგზავნ ყოველ ნომერს. ასე მხოლოდ ერთგული მეგობრები იქცევიან.

ხანგრძლივი უანგარო და ულალატო საქმიანი თანადგომისათვის, პროფესიული მხარდაჭერისა და ყველაზე საჭირო მომენტში გაცემული გულითადი რჩევებისათვის ახლა მკითხველთა სამსჯავროზე მათი სახელითაც ვეუბნებით: — მადლობა, მეგობარო!

სხვათა შორის, იგი გახლავთ ახალთაობელი წარმომადგენელი კასპელი მეცემენტეების ოჯახური დინასტიისა —რუბენის და მისი ვაჟებისა, სერგო და მოსე გიგილაშვილებისა. “განთიადს” კი მათზე არაერთხელ უთქვამს საქებარი სტრიქონები.

ახლა ჩვენი მეგობარი მამუკას ჯერია. საქებარს იმსახურებენ მისი ვაჟიშვილებიც, 25 წლის ლევანი და 21 წლის დავითი, არა მარტო კარგი შვილობისათვის, უპირველესად, პროფესიული მიზანსწრაფვისათვის. უფროსი წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზეა კომპიუტერულ ქსელში “ზუმერი”, ხოლო უმცროსი, მესამეკურსელი სტუდენტი, ახლო მომავალში ექიმი-ნეიროქირურგია, დღეს კი ერთ-ერთ ცნობილ სამედიცინო კლინიკაში მედძმაა, ვისაც უკვე რამდენიმე ადამიანი გადაურჩენია.

რედაქციის წინ, ქუჩის მეორე მხარეს, წიგნები იყიდება 1 ლარად. მაკულატურაში მოსროლილი წიგნები ისევ ინახავენ პატრონთა გვარსახელებს. გადაუფურცლავი ენციკლოპედიები არ არიან დამნაშავე, რომ მკითხველი არ გამოუჩნდათ, ალბათ წიგნიერთა დრო წავიდა (ღმერთო დაგვიფარე!) ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, გვიხარია ჩვენი მეგობრის არსებობა და ერთგულება.

გათითოკაცებულ, ტელეფონებში თავჩარგულ დღევანდელობაში სადაც ცხოვრებაც და მეგობრობაც თითქმის ვირტუალურია, საზოგადო საქმის ერთგულება რთულად დასაჯერებელია. ალბათ, ჩვენც ძნელად დავიჯერებდით, თავად რომ არ ვიყოთ ამ მეგობრობის მოქმედი გმირები. წიგნიერების სამახური დღეს აღარ გამოიყურება პრესტიჟულად. ”წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.” ღმერთმა გაგვიძლიეროს მეგობრები.

# წინაპართა ნაკვალევზე

კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (მენეჯ. ლ. პეტრიაშვილი) მხარეთმცოდნეობისა (ხელმძღ. ნ .მერებაშვილი) და შემოქმედებითი წრის (ხელმძღ. მ. ყაბანაშვილი) მოსწავლეები სვეტიცხოვლობა დღეს პედაგოგებსა და მშობლებთან ერთად ამაღლებული განწყობით გაემართნენ ახალქალაქისა და გარიყულას ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

საქართველოს ოდითგანვე ჰყავდა გმირები, რომლებიც ხალხს საუკუნეების მანძილზე ზნეობის მაგალითს აძლევდნენ, იცავდნენ სამშობლოს, სარწმუნოებას და ქვეყნის კეთილდღეობისათვის საკუთარ სიცოცხლეს წირავდნენ. ერთ-ერთი ასეთი გმირი იყო წმინდა მოწამე თევდორე მღვდელი-კველთელი, ბერი, რომელმაც ქართულ მიწას ანაცვალა თავისი სული და სიცოცხლე.

მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს თევდორე მღვდლის (მოქანდაკე დ. ნავროზაშვილი) ბიუსტი, სანთლები დაანთეს და ქართველი პოეტების შემოქმედებიდან ლექსები წაიკითხეს.

გარიყულაზე ისმოდა მოსწავლეების: ბარბარე ჩარაევის, უჩა გოგოლაძის, მარიამ ყაზარაშვილის, ლიზი ხუციშვილის, ნინო გაბოშვილის, ნინი და შანშე ჩიტიშვილების ხმები...

“მამაო, სიმღერა ხარ შეწყვეტილი, მამაო, სანთელი ხარ დამწვარი, ლომი ხარ ქართველობას შეწირული და კრავი, ქრისტეს ზვარაკი”...

საუკუნეებს გადასწვდება წმ. თევდორეს სახელი, რომელიც ქებით, დიდებითა და კურთხევით იხსენიება ყველა ქართველისაგან, ვიდრე დედამიწის ზურგზე ჩვენი ერი იცოცხლებს (იაკობი).

თევდორე მღვდლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პედაგოგმა მ. ყაბანაშვილმა, ასევე მსმენელთა ყურადღება გაამახვილა სოფლების (ახალქალაქი, მეტეხი, ერთაწმინდა...) ტოპონიმებზე.

ექსკურსიის მონაწილეებმა დაათვალიერეს არტვილაგარიყულა ყოფილი ბელეცკების სახლი-აგარაკი. მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნ. მერებაშვილმა მოსწავლეებს მოუთხრო აგარაკის მფლობელების, პოლონელი მამა-შვილის კონსტანტინე და ვასილ ბელეცკების ისტორია.

დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო ეზოში განლაგებულმა ქვითა და მეტალით დამზადებულმა ფიგურებმა, სახლის სახურავზე მამალმა და სხვ.

საინტერესო სანახავი იყო ’’’თარხნიაანთ მარანი’’, ქვითკირით ნაშენი თახჩებითა და უძველესი ქვევრებით დამშვენებული. მეტად შთამბეჭდავი იყო ამავე ოჯახში დაცული ნახშირით შესრულებული გიორგი სააკაძის პორტრეტის ნახვა, თითქოს ყველას თვალწინ გაცოცხლდა დიდი მოურავი, რომელსაც ქართლის მიწა ჩოხის კალთით დაჰქონდა და საქართველოს რჯულისათვის მრავალგზის იყო წამებული.

ექსკურსიის მონაწილეებმა გაოცება ვერ დაფარეს მარშლიაანთ სასახლის ხილვით. დავით და ალექსანდრე თარხან-მოურავთა მიერ აშენებული სასახლე მეციხოვნესავით ამაყად დგას მაღლობზე და გადასცქერის მეფის ქალაქს.



მოსწავლეები ყურადღებით უსმენდნენ ეკატერინე თარხან-მოურავთა შთამომავალს ქ-ნ მაია სურვილაძეს, რომელმაც ვრცლად ისაუბრა მარშლიაანთ სასახლის შესახებ. მან დაათვალიერებინა წინაპართა ფოტოები, რელიქვიადქცეული ნივთები, სარკეებიანი ჭერი, ჩინური ჩაის კოლოფის მიხედვით გაფორმებული ბარიატინსკის ოთახი, სადაც აკაკი წერეთელი ხშირად ისვენებდა და ერთ საღამოს ლექსი “ვიშ, ამ საღამოს, ტურფას, საამოს” - დაუწერია.

ერთ დროს კულტურის კერადქცეულ მარშლიაანთ სასახლეს, გაწყობილს ბუხრებითა და შადრევნით, საიდანაც ხან წყალი და ხან ღვინო ჩქეფდა, დრომ თავისი კვალი დაატყო, თუმცა რაც შემორჩენილია, დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. მოსწავლეებმა დაათვალიერეს ახლადგახსნილი ჩოგბურთის საერთაშორისო მნიშვნელობის კორტები.

კასპის №4 საჯარო სკოლის პედაგოგებმა გულო გიგაურმა და ქეთევან რაზმაძემ, კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამოქალაქო განათლების წრის ხელმძღვანელმა ქეთევან გეჯაძემ, სპეციალისტმა ჟუკა მამულაშვილმა, მშობლებმა მარიამ კანთელაშვილმა და ნონა ბარნოვმა მადლობა გადაუხადეს ექსკურსიის ორგანიზატორს ნანა მერებაშვილს თეძმისხევის ისტორიული კუთხის მონახულებისა და გმირ წინაპართა გახსენებისათვის.

## სასკოლო ოლიმპიადის პროგრამით

ვისწავლოთ გამარჯვება! — ასეთი დევიზით წარიმართა კასპის მუნიციპალური თამაშები კალათბურთში (3X3-ზე). მას წლევანდელ 4 ნოემბერს უმასპინძლა ქ. კასპის საკალათბურთო დარბაზმა. თამაშების საერთო პროგრამა მორგებულია სასკოლო ოლიმპიადის შინაარსზე და ეწყობა საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ეგიდით.

ვაჟთა გუნდების ასპარეზობაში ჩემპიონობა მოიპოვა ქ. კასპის ბესიკ ნიპარიშვილის სკოლა–გიმნაზიის მოსწავლეთა ნაკრებმა: შაკო კავთიაშვილი (კაპიტანი), ვანო ზაქაშვილი, ნიკა ივანიშვილი და ლუკა კირაკოზაშვილი (სპორტის მასწავლებელი გიორგი ასლამაზაშვილი).

მეორე ადგილი დაიკავა ქ. კასპის №4 საჯარო სკოლის გუნდმა (მასწავლებელი დავით ჯინიყაშვილი), ხოლო მესამე — ქ. კასპის №1 საჯარო სკოლამ (მასწავლებლები ასმათ პავლიაშვილი და გოდერძი მარიდაშვილი).

გოგონებს შორის შეჯიბრებას რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ არც გამართულა, რადგანაც ქალაქის პირველი სკოლის გოგონათა ნაკრებს არც ერთი კონკურენტი გამოუჩნდა და მან უთამაშებლად დაიმსახურა ჩემპიონის სახელიც და შემდგომ (რეგიონულ) ეტაპზე გამოსვლის უფლება.

ოთხეული ასეთია: სალომე შალუტაშვილი (კაპიტანი), მარიამ ჩუგუაშვილი, ნინო ცქვიტიშვილი და ნათია კურტანიძე.

*** კასპის სტადიონზე ამავე სპარტაკიადის პროგრამით იასპარეზეს საჯარო სკოლების მძლეოსანმა მოსწავლეებმა, გეზრბენის საბილიკო მანძილის ყველაზე სწრაფად დაფარვას შეეცადნენ ვაჟთა და გოგონათა 4–4-წევრიანი გუნდები, პირველები ათას, მეორენი კი რვაასმეტრიან მონაკვეთებზე. ვაჟ გეზმრბენთა შორის ხუთეული ასეთია: 1. სამთავისის, 2. ხოვლის, 3. კასპის პირველი, 4. ნიგოზასა და 5. კასპის მეორე საჯარო სკოლები; გოგონებში: 1. კასპის მესამე, 2. სოფელ ხოვლისა და 3. ნიგოზას სკოლები.



## ცამეტი წლის ყმაწვილკაცი ... მოკრივის თითებით




მწვრთნელი ოთარ თოიძე გახარებულია, — სულ ერთი წელია, რაც ახალბედა მოკრივეს, მეტეხელ მერვეკლასელ ჯემალ კორკოტაშვილს ვავარჯიშებ და უკვე საგაისოდ, ასე, მარტისათვის, საქართველოს პირველობაზე ვუპირებ გამოსვლასა და ჩხუბსო. ამბობს, — ამ ბიჭს ისეთი მოყვანილობის თითები აქვს, როგორი ნიშნითაც ნამდვილი, დიდი მოკრივეები იბადებიანო! — გრძელი, ღონიერი, ისეთი, ძალაყინის გრეხვა რომ ეხერხებათო.

ჯემალი ყოჩაღი და შრომისმოყვარეა. მეტეხიდან თურმე დაკრავს ფეხს და სოფელ ფავნისში პაპას უდგას მხარში სამთოსაველე ნებისმიერ საქმეში. ჰოდა, მართლა ისეთი ძლიერი მარჯვენა აქვს, მტრისას მოხვდეს მისი მუშტი... სპორტშიც ყოჩაღობს ბიჭი, — კიკბოქსიორად გახდომის სურვილი თურმე ხუთი წლის ასაკიდან ამოუჭრია გულში, როცა მათი ჯახი უხილავს ტელეეკრანზე. ახლა კმაყოფილია ისიც, ოთარ მასწავლებლის ხელში რაკი აღმოჩნდა. წლევანდელმა პირველმავე ოფიციალურმა შეჯიბრებამ მწვრთნელ-შეგირდი დააკმაყოფილა: ახალციხის პრესტიჟული ტურნირის (ღია პირველობა მერიის თასზე) პრიზიორი გახდა და სიგელიც მიებოძა, ვერცხლის მედალი სიამაყით ჩამოიკიდა კისერზე... ეს იყო ახლახან, ოქტომბერში. გაისის მარტამდე კი შორი როდია, აგერ აქვეა გაზაფხული! ზამთრის თვეებში ოფლს დაიდენენ გულმოდგინე ვარჯიშებით და ... არც საქართველოს პირველობაზე ფიქრით დაიღლებიან! პირიქით, ასეთი ჩანაფიქრი მათთვის "სასარგებლო" დოპინგია.

## კავთისხევში გარდაცვლილი მოჭიდავეები გაიხსენეს

სოფელ კავთისხევის ვალიკო იაშვილის სახელობის საჭიდაო არენაზე 2023 წლის შუა ოქტომბერში გამართულ სოფლის ღია პირველობაში (ქართული ჭიდაობა) მონაწილეობდნენ ჭაბუკები ქ. კასპიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან: კავთისხევი, მეტეხი, ლამისყანა, ქვემო გომი, აღაიანი, დოესი.

შეჯიბრების ყველაზე პრესტიჟულ წონაში (მძიმეწონოსანთა კატეგორიაში) გაიმარჯვა და ჯილდოდ "ცოცხალი პრიზი" (ყოჩი) დაისაკუთრა ქვემოგომელმა ჭაბუკმა საბა მარტიაშვილმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით სხვა ჩემპიონების ვინაობა-სადაურობა ასეთია: გოგა ჭიხინაშვილი (ლამისყანა), ლუკა ხოდელი (აღაიანი), თემურ გოგრიჭიანი (მეტეხი), მიშო ოდოშაშვილი (მეტეხი), ალეკო ხიზამბარელი (მეტეხი),



გიორგი ფავლენიშვილი (ლამისყანა) და სოსო ბეგლარაშვილი (დოესი).

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ, ასევე, სახელობითი სპეციალური პრიზებით. ისინი დააწესეს ასპარეზობის მომწყობი საინიციატივო ჯგუფისა და აწ გარდაცვლილი კავთურისხეობელი მოჭიდავეების ოჯახების წევრებმა, მეგობრებმა, ახლობლებმა.

49 კილოგრამში — მურად კაციაშვილის სახელობისა (გადასცა ძმისშვილმა ზურაბ კაციაშვილმა), 45 — კუკური (წუნა) მოდრეკილაძისა (შვილიშვილმა ნიკოლოზ მოდრეკილაძემ), 50 — ნუგზარ ქსოვრელისა (მეტეხელმა ვეტერანმა მოჭიდავემ იოსებ მამულაშვილმა), 55 — თამაზ მონასელიძის ხსოვნისა (გადასცა ვეტერანმა მოჭიდავემ ზელიმხან ილურიძემ)), 60 — გოჩა ხიზანიშვილისა (ძმამ იოსებ ხიზანიშვილმა), 66 — ნიკოლოზ (პოხრო) პაპიაშვილის სახელობისა (ლევან მოდრეკილაძემ), 73 კილოგრამში — ავთანდილ (კირილე) შეშაბერიძისა (შვილმა ვეფხვია შეშაბერიძემ), ხოლო მძიმე წონაში — ვალერიან (ვალიკო) იაშვილისა (გადასცა ასპარეზობის ორგანიზატორმა ჰამლეტ წიკლაურმა).

## ამაგდარ მწვრთნელს შეჯიბრება აჩუქეს



დაბადებიდან 82-ე წელი შეუსრულდა ვეტერან მოჭიდავესა და ამაგდარ მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში ზელიმხან (ილო) ილურიძეს.

კასპის სპორტკომპლექსის სავარჯიშო-საწვრთნელ დარბაზში მის სახელობით დღესთან დაკავშირებით გაიმართა მუნიციპალური შიდა პირველობა 2010-2012 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. ნორჩ ჩემპიონებსა და მეორე-მესამე ადგილებზე გასულ პრიზიორებს გადაეცათ სიგელები და მედლები.

იგი გახლავთ საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, ღირსების ორდენის კავალერი, კასპში მოჭიდავეთა თაობების აღმზრდელი და ახალგაზრდობის დამრიგებელი, კაცური ღირსებებით აღსავსე პიროვნება და პატივსაცემი თანამოქალაქე. დღესაც აქტიურად არის ჩართული მუნიციპალური სპორტის საქმიანობაში და კვლავაც ჩვეული შემართებით ილვწის სპორტის საყვარელი სახეობის პოპულარიზაციისათვის.

### შეუცნობელი

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა, შეგიძლიათ მოგვწეროთ ამ მოვლენის ამსახველი მასალა. მისი გაცნობის და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება, გაზეთის მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი,,. საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია გადავცეთ ექსპერტებს. შესაბამისად გავეცნობით პროფესიონალთა კომენტარებს.

კონკრეტულ მუსიკოს-შემსრულებლებზე მოგახსენებთ. განა არ გვახსოვს, ჩვენი მშობლების თაობა როგორ მიეზიდებოდა ხოლმე რადიოდინამიკებს, როცა დიქტორი აცხადებდა: — მღერის ინოლა გურგულია! ... და, მაშინ, მისითა და მისეული ნამღერით მოხიბლული რადიომსმენელები სიამაყით აღივსებოდნენ, — ჩვენი ინოლაა!

და, მერე, უკვე ჩვენი თაობისანები, როგორი მაგნიტური მიზიდულობით ვუმზერდით ტელევიზორის ცისფერ ეკრანებზე ამღერებულ-აცეკვებული, აჟიტირებული ანსამბლი "მზიურის" სახეხატულა გოგონებს! ხომ გვხიბლავდა მზიურელი ლია ხორბალაძე! ხომ გვახსოვს, რას ბრძანებდნენ იმდროინდელი ერთი მძლავრი სახელმწიფოს მეთაურები, — აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი აღარ იქნებაო!

ჰოდა, ეს ლია ხორბალაძე სულაც ჩვენებური გახლდათ — დოესელი! თუმცა, რატომ წარსულ დროში, ახლაც მოუბრუნდება ხოლმე მამა-პაპეულ სოფელს... ჰოდა, ერთხელაც. ამ მშვენიერ ქალბატონს მშვენიერ დღესა და მშვენიერ სოფელში ისეთი მოულოდნელობა შეემთხვა, სიურპრიზიო, ასე იტყვიან! ... მაგრამ, თუ რა მოხდა დოესში, სანამ ამას ვიტყოდეთ, ზემოხსენებულ ორ სახელთან ერთად მესამესაც წარმოგიდგენთ: ეს ჯანჯალაშვილის ასულია — 12 წლის მელანო — სულ ახლო მომავალში ქართული საოპერო ხელოვნების კაშკაშა ვარსკვლავი, სახელად "მეცო-სოპრანო მელანო ჯანჯალაშვილი".

***

წლევანდელ სექტემბერში ესპანეთის ფართოდ ცნობილ საკურორტო ზონაში, კატალონიის რეგიონში, ჩატარდა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი, უკვე აღიარებული თუ ახალბედა მომღერლები რამდენიმე ასაკობრივ კატეგორიაში გამოვიდნენ. მათ ოსტატობასა და საშემსრულებლო დონეს კომპეტენტური ჟიური განსჯიდა. 12-წლამდელ მოზარდთა კატეგორიაში ფესტივლის ლაურეატი და გამარჯვებული გახდა მელანო ჯანჯალაშვილი — ქ. თბილისის მუსიკალურ-შემოქმედებითი სტუდია "ბომბორას" წარმომადგენელი (სხვათა შორის, დედაქალაქური სტუდია 12-ბავშვიანი გუნდით წარსდგა ესპანურ ფესტივალზე. მათგან ბევრმა კარგად იმღერა, განსაკუთრებით კი მელანო გამოირჩა).

ვინ-ვინ და "ბომბორას" სტუდიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი გახლავთ ქალბატონი ლია ხორბალაძე. მას კი მხარში უდგას ქალიშვილი ქეთევან ჭკუასელი... ჰოდა, ამ სამი წლის წინ სოფელ დოესში ასეთი ამბავი მომხდარა: სტუმრად მყოფ საყვარელ მზიურელს ერთმა იქაურმა ახალგაზრდა დედამ თავისი გოგონა წარუდგინა, — მღერის, იქნებ მოუსმინოთ, გთხოვთ, მგონია, რომ მოგეწონებათ!..

აი, მაშინ უნდა გენახათ მზიურელი მომღერლის განცვიფრება, როცა მის წინაშე პატარა მელანო დადგა და იმღერა...

— აბა, ეს მიმღერე, აბა, კიდევ... კარგი შვილი ხარ, მოვიხიბლე შენით... მიმყავს თქვენი გოგონა ჩემს სტუდიაში, — ლია ხორბალაძემ გახარებულ დედას მადლობაც გადაუხადა. მას კი ისიც უთხრეს, რომ მელანოს უკვე უვლია სოფელ დოესის სამუსიკო სკოლაში, სადაც ფორტეპიანოს ასწავლიდა მისი დირექტორი მარინა გათაშვილი, ხოლო ვოკალის პედაგოგად ეთერი წიწიკაშვილი ჰყავდა, ჯანჯალაშვილები ახლა თბილისში ცხოვრობდნენ და გოგონა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში დადიოდა ვოკალის წრეში.

აი, გარიგდა ნამდვილი ბაჯაღლო გოგონას აღმოჩენისა და ღირსეული ოსტატის ხელში მოხვედრის დოესური ამბავი, რაც წინა საუკუნეში დაწყებულა და ახლანდელში გრძელდება.



***

ჩვენს მელანოს ესპანურ ფესტივალზე, თურმე, ისეთი კაბა-თილისმა ემოსა, გარანტირებულად გაამარჯვებინებდა. ხუმრობა იქით იყოს და სინამდვილე კი ასეთი გახლავთ: ქართული ბრენდი "ფაფანაკის" ნაწარმით სადღეისოდ ბევრ სფეროში წარმატებული ქართველი

# მშვენიერი მელანოსათვის



ქალები თავმომწონეობენ, საგანგებოდ ირჩევენ და სარგებლობენ ძველებური, ანუ, ხალხური სამოსით, რაც დამშვენებულია ქართულ-ეროვნული ელემენტებით... ვის-ვის და "ფაფანაკის" მფლობელს, ყოფილ მოცეკვავეს, ანსამბლ "რუსთავის" წევრს ნინო ჭყონიას ზედმიწევნით მოეხსენება ქართული კაბის, როგორც ჩვენებური ქალის უმთავრესი სამშვენისის, ფასიცა და ანდამატიც... სწორედ აქ, "ფაფანაკში" შეიქმნა მელანოს საფესტივალო მეწამული კაბა, საგანგებოდ, ერთი კონკრეტული შემთხვევისათვის, ერთი საკონცერტო საღამოსათვის (განა, ასე არ იკერება, ცხოვრებისეული თუნდაც ერთი მომენტისა და შემთხვევისათვის, საპატარძლო კაბები?)!

***

მელანო ჯანჯალაშვილი ამჟამად მეშვიდეკლასელია. სწავლობს ქ. თბილისის №180 საჯარო სკოლაში. იგი აკადემიური მოსწრების წარჩინებულია და სკოლის მედლით დასრულებას ესწრაფვის. მანამდე კი სასპორტო მედლებს მოინადავლიანებენ მისი ძმები — დაჩი და ტყუპისცალი რატი და დემეტრე. მამას სამივე ძე გაუმწესებია საჭიდაო წრისათვის. ერთ-ერთი ძალოვანი სისტემის ოფიცერი ემზარ ჯანჯალაშვილიცა და მისი მეუღლე ნინოც (ჯანდაცვის სისტემის მუშაკი) მათი სახით ქვეყანას ახალ ჩემპიონებს, ახალ მეცო-სოპრანოს უზრდიან. ისინი გულითად მადლობას უხდიან კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელებსა და კულტურის სამსახურის წარმომადგენლებს, რომ არა მათი მხრიდან ფინანსური უზრუნველყოფა, თბილისური "ბომბორასა" და "ფაფანაკის" ყველანაირი მონდომება ამაო იქნებოდაო!

***

დაბოლოს, დავძენთ, რომ პედაგოგების, მშობლების, ყველა გულშემატკივრის გამხარებელმა მელანომ ესპანურ ფესტივალზე გაიმარჯვა ქართულენოვანი სიმღერით "მამული", რომელიც უკავშირდება ერთი მარად დაუვიწყარი მომღერლის — ინოლა გურგულიას სახელს!

**ა. კალანდაძე.**

დასასრული. დასაწყისი გვ. 3.

ძველებური სამუშაო, მუსიკალური საოჯახო და სამეურნეო ნივთებისა და მოკლებია... აგერ, კიდევ ერთი თვალი, ოღონდ ურმისა (და არა კაცისა) — ჩემს ზურგსუკან, აივანთან ახლომდგომ ხეზე, ასახლისია ნინო ნუგზარაშვილი. საინტერესოა, რომ იგი ერთ-ერთი დათაგანია შვიდეულში. მასაც საკუთარი ჰობიომანია



საგნების მოყვარულია, უფრო შემგროვებელი ეთქმის. აგერ, პირველხმარებული ფოტოაპარატები! საბეჭდი, რომელსაც ბიძამისი იყენებდა. გული სწყდება ერთ საკრავიერ ძველმოდურ პატეფონზე, რომელიც მაშინ დაკარგულა, აქაურ სახლეულს პატრონის თვალი რომ ისიც მამის ნახელავია. ჰო, იყო დროება, სასირეთელი პაპები ურმებით დადიოდნენ, ახლა მათი მემკვიდრე ახალთაობელების ჯერია და, აგერ, ამავე ეზოში მამისა და ორი ვაჟიშვილის ავტოები დგას.

... ონეზაშვილების სტუმართმოყვარე ოჯახის დიდა გატაცებანი გააჩნია — ნუმიზმატობს, მქარგველობს, კულინარობს, მზარეულობს...

მეუღლეები შეთანხმებულად განაგებენ პირად მეურნეობას, უვლიან მსხვილფეხა პირუტყვს და არა მარტო ოჯახური საჭიროებისათვის ამზადებენ რძის ნაწარმს — ყველს, კარაქს, ხაჭოს, ნადუღს, დოს... მისდევენ მეფრინველეობას, აშენებენ ეგზოტიკური ჯიშის ფრთოსნებს.

დაბოლოს, ონეზაშვილების ოჯახური საგამოფენო-საგაზეთო "პორტრეტი" სრულყოფილი რომ გამოვიდეს, დავძენთ: მათ ჭერქვეითში დაფრთიანებულმა შვილებმა ერთი განხრით მიიღეს უმაღლესი განათლება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში — სამივემ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა:

მარიამი ამჟამად საგამოფენო სივრცე "ქარვასლისა" და ეთნოგრაფიული მუზეუმის მენეჯერია. გიორგი ალმამატერში ლექტორობს და, თანაც,



# ძველ-ახალი დროების მარულაში

რამდენიმე ქართული დოკუმენტური ფილმის ოპერატორი და პრესტიჟული კინოფესტივალების დიპლომანტია. უმცროსი თორნიკეა, რომელმაც რამდენადმე უგანა პროფესიულ საქმიანობას, თუმცა გასაკვირი არ იქნება, თუ გეტყვით, რომ მასში გენეტიკურმა კოდირებულმა უნარმა გადასძლია — თორნიკე პროფესიონალ მეავეჯედ ჩამოყალიბდა, ანუ, პაპისეული საქმიანობა თანამედროვეობის რელსებზე მომართა და ახალი მიმართულების სინთეზატორად გამოჩნდა. ის სათავეში უდგას ავეჯის საამქროს "ჯორჯიან მეიქსი"... ასე და ამგვარად, ონეზაშვილების საოჯახო ინტერიერში უკვე ნახავთ ახალთაობელი სასირეთელი მეავეჯის დგამ-ავეჯეულობას. ანუ, მათთან მშვენივრადაა შეხამებული ძველი და ახალი ნიმუშისა და დიზაინის ხის ნაკეთობანი. დროჟამიერი თითქოს გაყუჩებულა და გაჩუმებულა. საგამოფენო ექსპონატები დუმან, კედლის საათი კი, მათ ჯინაზე, საუკუნის მარულაში დაუღალავად ჩართულა.

# გახდით ჩვენი მკითხველი, გამოიწერეთ "ახალი განთიადი"!




დასასრული. დასაწყისი გვ. 3.

გითხრათ, კავთისხეველი ხაბაზის სამუშაო გრაფიკი დღე-ღამის საათობრივ განაწილებას ძნელად ემორჩილება, შუაღამით იწყებს ცომის ზელვა-მომზადებას და დილით, ათითერთმეტი საათისათვის, ციკლი დასრულებულია. ვასილს დღისით საქმიანობაში ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანები უდგანან მხარში – დედა, ქალბატონი ლიზა კერესელიძე (ჩხარტიშვილი), ვისაც აქნობამდე ოცდაექვსი წელი კავთისხევის საბავშვო ბაღში ექთნად და აღმზრდელად უმუშავია და, ასევე, მეთერთმეტეკლასელი ქალიშვილი, ნუციკო, რომელიც მამისა და ბაბოს გულს კარგი სწავლით ახარებს... არადა, ყველაზე ერთგული თანაშემწე ამ საქმეში მისთვის იყო მეუღლე – გვანცა ჯანჯალაშვილი. სამწუხაროდ, შარშან ჩატყდა მათი მეუღლეობის ერთი ტაბიკი.

სწორედ ის, კეთილშობილებით აღსავსე ახალგაზრდა ქალი, ვისაც სამი შვილისა და მეუღლისათვის გადაედო საკუთარი თავი, იყო კავთისხევური "თანგარის" შექმნისა და დაარსების იდეის ავტორი, ინიციატორი და ნათლია.

ასე რომ, კავთისხევური "თანგარი" არა მარტო პურის სახლია! ის ქრისტიანი მეუღლეების სიყვარულის ისტორიის ნაყოფია. ისეთი წმინდა და საღმრთო ადგილია, სადაც ცად ამაღლებული წინაპრების სულს დაუვანებია!

**ა. ტალახაძე**

## შეჯიბრება, რომელიც დანიშნულებას ამართლებს

საქართველოში უამრავი ბავშვი გატაცებულია კარატესა და ტაეკვანდოს სექციებში ვარჯიშითა და საშეჯიბრო ორთაბრძოლებით. კასპშიც არის ასეთი კლუბი და არც ის უჩივის მასში მომეცადინეთა სიმცირეს. სენსეი ალექსანდრე (მანძულაშვილი) ნაცადი მწვრთნელია. ამასთან, არც ასაკს ეპუება და თვითონაც წარმატებით გამოდის საერთაშორისო დონის შეჯიბრებებში. სწორედ მისი მცდელობით ხდება, რომ კასპში ყოველწლიურად იმართება ხოლმე წარმატებული შეგირდის, ლევან ძამუკაშვილის ხსოვნის ტურნირი. ერთ-ერთი გამოსვლისას მიღებული ტრავმის გამო დაღუპული პერსპექტიული სპორტსმენი სენსეისაც ახსოვს, მის მეგობრებსაც და იმ გოგობიჭებსაც, მის მემორიალში რომ ჩაერთვებიან ხოლმე.

წელს კასპში საასპარეზოდ ჩამოვიდა "ა" და "ბ" კატეგორიის მქონე ნორჩი ტაეკვანდოელი საქართველოს დედაქალაქიდან და ქვეყნის მხარეებიდან, სულ 250-ზე მეტი. აკი სწორედ ესაა ასეთი შეჯიბრებების გამართვის დანიშნულება და გამართლება: მოსწავლე-ახალგაზრდობაში გამოჩნდეს ახალი სახელები, მწვრთნელებმა მოამზადონ ახალი კადრი, პატივი მიეგოს წინათაობელთა სახელებს. ცხადია, ვერც კასპის კარატე-ტაეკვანდოს კლუბის მოთავეთა სურვილი იკმარებდა მხოლოდ, რომ არა მხარდაჭერა და თანადგომა სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექციისა, მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სპორტის სამსახურის ხელმძღვანელებისა, თვით ტაეკვანდოს ეროვნული ფედერაციის თავკაცთა პატრონაჟისა. მადლობას იმსახურებს ყველა რგოლი – ცალცალკე და ყველა – ერთად.

## მიეძღვნა გმირის ხსოვნას

წლევანდელ 22 ოქტომბერს კასპში ჩატარდა რესპუბლიკური მასშტაბის მე-6 მემორიალური ტურნირი კალათბურთში. იგი ყოველწლიურია და ტრადიციულად, ეძღვნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1993 წელს დაღუპული კასპელი ვაჟკაცის, 24 წლის განმავლობაში უგზოუკვლოდ დაკარგულად მიჩნეული და 2017 წლის ოქტომბერში ქ. თბილისის ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე მხედრული პატივით დაკრძალული, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი გოჩა თათრიშვილის ხსოვნას. მონაწილეობდნენ კასპის, გორის, ხაშურისა და გლდანის (თბილისი) ნორჩ კალათბურთელთა გუნდები (წლოვანება – 12-13 წელი).

კასპელმა ბიჭებმა (მწვრთნელები ირაკლი მელუა და ლევან გეჯაძე) პირველი თამაში დათმეს გორელ თანატოლებთან, მეორეში კი დაამარცხეს ხაშურელები და, საბოლოოდ, მე-3 ადგილი დაიკავეს. გორელებმა, თავიანთი მხრივ, ფინალური მატჩიც მოიგეს თბილისელებთან და 2023 წლის "თათრიშვილის ტურნირის" გამარჯვებულიც ისინი გახდნენ (მწვრთნელი ბექა ტატალაშვილი). ჯილდოებიც სათანადო ირგუნეს ჩემპიონ-პრიზიორი გუნდების მოთამაშეებმა (მათ შორის შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულმა გორელმა ლუკა გოზალიშვილმა). მათ თასები და დიპლომები გადასცეს: სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების თავკაცმა შოთა გოგიაშვილმა და მენეჯერმა ჯუმბერ სიდამონიძემ, ასევე, ტურნირის ადრესატის ძმისშვილმა ანა თათრიშვილმა და ვეტერანმა კალათბურთელმა ლევან თაბუაშვილმა.

## კასპის კოლეჯმა გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების პროექტის დასკვნით ღონისძიებას უმასპინძლა

კასპის კოლეჯმა პროექტის "გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების ინტეგრირება რეგიონულ პროფესიული განათლების დაწესებულებებში" დასკვნით ღონისძიებას უმასპინძლა. პროექტი დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ს საელჩოს პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში და ხორციელდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის მიერ.

პროექტის ფარგლებში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით შემუშავდა მოდული გენდერული თანასწორობის შესახებ პროფესიული სასწავლებლებისთვის. განახლდა ექვსი პროფესიული სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმა, ჩატარდა სწავლებები, საინფორმაციო კამპანიები და მრავალი სხვა აქტივობა, რომელიც სტუდენტებს შორის თანასწორი და თანაბარი სასწავლო გარემოს შექმნას ემსახურება.

პროექტის დასკვნით ღონისძიებას ესწრებოდა აშშ-ს საელჩოს, განათლების და მეცნიერების სამინისტროს, უნარების სააგენტოს, ადგილობრივი ხელისუფლების, პროექტში ჩართული კოლეგების წარმომადგენლები და სტუდენტები.

აშშ-ს საელჩოს პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა წლებია საქართველოში პროფესიული განათლების მომწოდებლების შესაძლებლობების გაძლიერებაზე ზრუნავს. პროგრამის ძირითადი აქცენტები გენდერული უთანასწორობის დაძლევასა და სტუდენტებისათვის თანაბარი სასწავლო გარემოს შექმნაზე კეთდება.

პროექტის ბენეფიციარები იყვნენ: კასპის პროფესიული სასწავლებელი, კოლეჯი პრესტიჟი (თელავი), კოლეჯი ფაზისი (ფოთი), კოლეჯი განთიადი, კოლეჯი აისი (კახეთის რეგიონი), კოლეჯი ოპიზარი.

## სადღეისო საზრუნავი



კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი) მუშაკები აქედანვე ვიჭერთ თადარიგს მომდევნო კალენდარული წლის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესისათვის. კერძოდ, უპირველესი საზრუნავია მოზარდთა კვების უზრუნველყოფის საკითხთა შეჯერება, გაანგარიშება, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება. გაისის შუა იანვრიდან, როცა სააღმზრდელო პროცესი განახლდება, პატარები ახალი კვებითი პაკეტით შეუფერხებლად ისარგებლებენ.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.




შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი

შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები.



კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე გაერთიანების თანამშრომელი

ბადრი (თამაზი) მამულაშვილი

და სამძიმარს უცხადებს გაერთიანების მთავარ სპეციალისტს ნელი ონეზაშვილს მეუღლის გარდაცვალების გამო.

ლიანა ოდიშვილი თანაუგრძნობს შვილებს: ზურა და ნანა ბუნტურებს დედის

ნარგიზა მესტუმრე-ბუნტურის

გარდაცვალების გამო.

ნანა მერებაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ზურა და ნანა ბუნტურებს დედის

ნარგიზა მესტუმრე-ბუნტურის

გარდაცვალების გამო.

93-ე წლიდან ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარკს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მატიანეს ... გახდით ჩვენი მკითხველი! და გამოიწერეთ "ახალი განთიადი"!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76